



კლუბის სახელწოდება - „CEA არტ მედია“ ;

კლასები -I-VI კლასები

სამიზნე ჯგუფი - საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები;

კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი) - ნანა ვერულაშვილი;

555 59 34 31;

[nanaverulashvili7@gmail.com](mailto:nanaverulashvili7@gmail.com)

კლუბის გაკვეთილების რაოდენობა - კვირაში 2 საათი;

თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა - 50 წთ;

კლუბში გაწევრიანების წინაპირობა - მოსწავლეები შერჩევა ინტერესის სფეროდან გამომდინარე.

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა - კლასის ნახევარი ან მთელი კლასი

კლუბის მიზანი - კლუბის მიზანია, ფორმალური განათლების პარალელურად მოსწავლეები არაფორმალურ გარემოში დაეუფლონ ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა პრეზენტაციების გამართვა, ნიუსებისა და მასალების მომზადება. გააკეთონ შემეცნებითი-საგანმანათლებლო ხასიათის პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ინტერესების უკეთ წარმოჩენაში. კლუბის მუშაობისას შეიქმნება მოსწავლეთა სხვადასხვა ქვეჯგუფები. ნაწილი იმუშავებს სარედაქციო მიმართულებით, ნაწილი მონტაჟსა და გადაცემების გავრცელებაზე, დიზაინზე. მოსწავლეები პრაქტიკული სამუშაოს ფორმატით თავად გააკეთებენ ხელნაკეთ გაზეთს, გამოსაცემად მოამზადებენ ბეჭდურ მედია რესურსს, მოამზადებენ მოსწავლეთა რადიო გადაცემებს და იმუშავებენ სკოლის მედია განვითარებისთვის. შეიქმნება ელექტრონული მედია პორტალი, სადაც განთავსდება სტატიები, ინტერვიუები და მოსწავლეების მიერ მომზადებული მასალები.

კლუბში მუშაობის შედეგად მოსწავლეები თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

. მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შემოქმედებით-საგანმანათლებლო პროექტებში.

. ისწავლიან აუდიტორიასთან მუშაობას.

ძირითადი მიდგომები, მეთოდები - როლური თამაში, პრაქტიკა, ვორქშოფი;

აქტივობები:

- . ხელნაკეთი გაზეთის დამზადება;
- . ბეჭდური გაზეთის გამოცემა;
- . მოსწავლეთა რადიო გადაცემების მომზადება;
- . მოსწავლეთა რადიოს პრეზენტაცია;
- . აქცია - „ვხატავთ ფიროსმანს“;
- . დოკუმენტური ფილმების ჩვენება;
- . ანიმაციური ფილმების ჩვენება, ვორქშოფი;
- . შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან;
- . აქცია - ერთი დღე მუზეუმში;
- . აქცია - ერთი დღე თეატრში.
- . ელექტრონული მედია პორტალის შექმნა.

ძირითადი რესურსები- კომპიუტერი, თაბახის ფურცლები, ფორმატები, ფერადი ფანქრები, პასტელი.

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა) - ხელნაკეთი გაზეთი მომზადდება კლუბის დაწყებიდან ერთ თვეში;

ბეჭდური გაზეთის მასალების მომზადება კლუბის დაწყებიდან მეორე თვეში;

რადიო გადაცემები მომზადდება კლუბის დაწყებიდან მე-3, მე-4 თვეს;

მოსწავლეთა გაზეთი გამოიცემა კლუბის დაწყებიდან მე-5 თვეს;

გაზეთის და რადიო პროექტის პრეზენტაცია კლუბის დაწყებიდან მე-6 თვეს;

მედია პორტალის შექმნა - პროექტის დაწყებიდან მე-6 თვეს.

კლუბის ხელმძღვანელის მოკლე რეზიუმე (დანართი) - პროფესიით ვარ ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი და PS -ის სპეციალისტი. მაქვს მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება. ვმუშაობდი გაზეთ „ბათუმელებში“ კორესპოდენტისა და სარეკლამო განყოფილების ხელმძღვანელად, გაზეთ „კულტურაში“ კორესპოდენტად, ვარ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი და ორგანიზატორი. საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვაკეთებ შემოქმედებით ღონისძიებებს, ქართული კულტურის დღეებს. მოსწავლეებთან ვმუშაობ 2005 წლიდან. ხელოვნების სტუდიაში ვასწავლიდი ხელოვნებას. პარალელურად ვმუშაობდი სოციალურად დაუცველ ბავშვებთან პროფესიული უნარების გაუმჯობესებასა და პოპულარიზაციაზე. 2016 წლიდან დღემდე ვმუშაობ საჯარო და კერძო სკოლებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად, სკოლის პროექტების მენეჯერად. ვხელმძღვანელობ მოსწავლეთა რადიო გადაცემას „მოსწავლის ხმა“. ვარ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „მემკვიდრეობა“ ავტორი და ორგანიზატორი.